



კუპიდონი კრემლის  
კედელთან

წიგნი შედგენილია მარქსის, ენგელსის და ლენინის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ბიბლიოთეკაში, 1987 წელს, ქალთა საერთაშორისო დღის – 8 მარტისადმი მიძღვნილ სხდომაზე, **ვალერიან სენეფორეს ძე სამხარაძის** ზეპირი გამოსვლის მიხედვით.

„– А Вы Мачавариани помните?“<sup>1</sup> – ეკითხება [სტალინი].

– ნეტ.

– ჰმ... არ გახსოვთ?“

ნიკო ბერძენიშვილი,  
„სტუმრად სტალინთან“

სტალინი: „ერთ ქალაქში გაგვაჩერეს. სატუსალოში, 25-ადგილიან საკანში 75 კაცი მოგვათავსეს. დასაწოლი არ იყო. ვისხედით იატაკზე. მე 40 გრადუსი სიცხე მქონდა... უცბათ ოფლი მომივიდა, სულ ერთიანათ დავესველდი. ჩანს, კრიზისმა გაიარა. გადავრჩი. გზა განვაგრძეთ... იმ გადასახლებიდან ჩქარა გამოვიპარე“.

ნიკო ბერძენიშვილი,  
„სტუმრად სტალინთან“

---

<sup>1</sup> და თქვენ გახსოვთ მაჭავარიანი?

იცნობდა, რა თქმა უნდა. Сталин ио знал<sup>1</sup>. იმნაირათ იცნობდა, რა ვთქვა. რალაცა დროს მაგ იცნობდა მაგენს даже лучше и ближе, чем<sup>2</sup> ლადო კეცხოველს და ლადოს ფასი მაგას სხვა არ ყავდა, სანამ მოკლავდენ იმ სანყალს. ცნობით კი არ იცნობდა მარტო, სოსო ცხოვრობდა მაგენტან, პირველ სართულზე. კობა ერქვა. ყველამ დეირქვენ ბიჭებმა მოკლე სახელები ქუთაისის ბულვარში და სტალინს შერჩა მარტო კობა. მაგ არი უკვე რუსეთის პირველი რევალუციის დრო და მერე, რო ჩაფლავდა ამდენი ნასროლი, მალავდენ მაგენი და სიახლოვე მეტი რალა იქნებოდა.

გამიგონია, მაგალითათ, რომე მაგ დროშიო, მაგას სოსომ სახელოში შესამალავი „დერინჯერის“ რივალვერი აჩუქაო. არი ამნაირი, პატარა. „დამსკი“ ერქვა ძველ დროში. Их в коси прятали<sup>3</sup>. უნახიათ, ჩემო ბატონო, ის რივალვერი, რემინგტონის იყოო, ჩამომავლებმა იციან.

ხაჭაპური გამოუცხოთო, უპატრონო ბიჭიაო, ეცოდებოდა ფაფალა ალექსანდროვნას. აცხობიებდა, მალლაკელი გოგო ყავდათ, იმის შვილიშვილი ქალაქკომში იყო მერეთ და მაგ მადლობას კი არ ეტყოდა, იმნაირათ

---

<sup>1</sup> სტალინი მას იცნობდა

<sup>2</sup> უკეთესადაც და უფრო ახლოსაც კი, ვიდრე

<sup>3</sup> მათ დალალებში მალავდნენ

შესლუპნიდა და იმ თავის ქვეით ოთახიდან გამოყოფდა წარბს. ხაჭაპურები იყო იმფერი სიფრიფანა, შზეს ლანდავდა და შზეს გავდა, მარა არ იცოდა მაგან მადლობები, за должное<sup>1</sup> იღებდა. იმალებოდა მაგენტან და იცნობდა კი არა, эта вавше другие атнашения<sup>2</sup>. ძველ რევალუციონერებში იყო ასე. მოსწრებული ვარ პატარაობაში. კი დახვრიტენ მერე, ხვრიტავდენ ყველას მაგენს მერე. სტალინმა კიდო იცოდა ასე: каво он любил с молоду<sup>3</sup>, სულ ბოლოს იმათ გამოაძვრენდა ხოლმე.

ახლა, მუსდას რო შეხედავდი, როცა მაგ იყო თუთხმეტი წლის, თექესმეტი წლის და ასე დადიოდა ბრიჩის შარვალით იყო მაგი რაფერც სიცოცხლის გამოხატულება და რაცხანაირი, ხიფათიანი სიხარული რო წარმევიდგინოთ, იმნაირი. ინგლისის მეფე ედვარდი იყო იმ დროში განთქმული, მსუქანი ამნაირი, сын Виктории<sup>4</sup>; მეიგონა იმან მაგ ბრიჩები, გადაჭრა შარვალი, ნადირობაში ბალახში მისველდება გძელი შარვალიო და მთელი მსოფლიო აყვა იმას და მუსდა პირველი სუფრაჟისტკა და ანარხისტკა იყო ქუთაისში და მაგ ბრიჩით, ველასიპეტიოთ და ишио расклеивала эти бумажки<sup>5</sup> და სულ არ გცნობოდა, იმის არდამახსოვრება და იმაზე ფიქრი არ მოგვგლოდა, არ იქნებოდა. რას ქვია, თუ იცნობდა სტალინიო. მაგენტან იყო სახლში.

---

<sup>1</sup> როგორც კუთვნილს

<sup>2</sup> ეს საერთოდ სხვა ურთიერთობებია

<sup>3</sup> ვინც ახალგაზრდობიდანვე უყვარდა

<sup>4</sup> ვიქტორიას ვაჟი

<sup>5</sup> იმ ქაღალდებსაც აკრავდა

ჯავაირა ხუტულაშვილი ამბობდა, ჯავაირა... იცი, ვინ არი ჯავაირა? კამოს და, ჯავაირა. მაგი იყო замминистра здравохранения Ге есесер<sup>1</sup>. დედათა და ბავშვთა ინსტიტუტი ხო იცი? მაგან გააკეთა. კაი კაცი იყო ის ხუტულაშვილი, მაგისი ქმარი. ჯავაირა ამბობდა: ქუთაისელი რო არ იყოს, კალანტაი ვინ იქნებოდა მაგასთანო. მაგი არიო აისიდორა დუნკან, მარია კიური და ცარიცა სავსკაია в одном лице<sup>2</sup>. მაგ ქუთაისური ხმამალალობა და მეტის წარმოჩენა გაკრავდაო და მიტომ ვერ გევიდა საჭირო ჰორიზონტზე ვითომო. ახლა, ჯავაირამ იცოდა დანახვა. ცოტა უსწრებს წინო.

ხოდა, სიმონიკა ერისთავი, მამა მუსხასი, მეფის დროს нумер один<sup>3</sup> ადვოკატი იყო ქუთაისში და მუსხას წინ ხო ყავდა ნიკო, ბიჭი, კოკოშა. და მაგ კოკოშა ამხანაგობდა მაგენტან. კაიბიჭობა იყო მაშვინ მაგენტან ამხანაგობა, რევალუციურ ფსევდონიმის დარქმევა. ნასწავლი იყო ტარტუში და, მოკლეთ, за ревалуцианеров он стоял<sup>4</sup>, თითონაც ვეჭილი. კოკოშას ხათრით და, აბა, თლა ბოლომდი რევალუციონერი არ გახდესო, სიმონიკა ინახავდა ხოლმე მაგენს. ან სუდში დეიცავდა, ან ვინმეს შეაწუხებდა. მაგი, გეუბნები, ნიკოლოზის დროა, პირველი რევალუცია ან წამოწყებულია, ან უკვე დეერიენ მაგენს და ვინ სად იმალება, ვერ გეიგეფ, მიტომ, რომე გამზადებულია სახჩობელები და ციმბირი იალტათ

---

<sup>1</sup> საქ სსრ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე

<sup>2</sup> ერთ სახედ

<sup>3</sup> პირველი ნომერი

<sup>4</sup> რევოლუციონერების მხარეს იყო

მოგეჩვენება, იმდენი ხალხი მიდის ზამთარ-ზაფხულ.  
მაშენდლიდან იცნობდა.

მერე, в трицат пятом<sup>1</sup> რო ჩამევიდა სტალინი დედა-  
მისის სანახავათ, მუსა იყო იქ, სუფრაზეც, ვორჯერ-  
სამჯერ. არ ერგებოდა თანამდებობით, მარა ვისაც  
მეიკითხავდა, მოყავდენ და მუსას არ მეიკითხავდა?!  
მაგ ამნაირათ უყურებდა, ულვაშებში იკითხავდა,  
ცოცხალია მაგ ძველი ბოზიო? თლა ლანძღვა არ იყო  
მაგისგან, ქალზე ბოზს თუ იტყოდა სიცილით; ლამაზს  
გულისხმობდა და, რო მონონდა, იმნაირს, და ცოტათი  
გამკრავსაც ქე იგულისხმებდა.

ბოდიში მაგ სიტყვაზე, მისი იყო.

კოკოშა რა ხნის მკვტარი იყო, მაგი რო ჩამევიდა თფი-  
ლისში.

მუსა, საერთოთ, რეტინგერმა გააბალშევიკა. რეტინ-  
გერის გამო გაბალშევიკდა. არ იყო. ისე იყო, дунтарка<sup>2</sup>,  
მშობლის გამწვალბელი, შემარცხვენელი და კვიმატი  
ვარსკვლავი, რო იტყოდა ძველი ხალხი. მაგას პარიზში  
უნდოდა სწავლა, იქანა იქნებოდა მაგის ადგილი, აღარც  
მოსულიყო ეგება უკან. შეირთავდა ოგუსტ ბლანკისნაი-  
რი ვინმე, ან ლაფარგის შვილი და იქნებოდენ ასე, თავი-  
სუფალი სიყვარულში და დეისვენებდა აქანა ერისთა-  
ვების მოტირალი ბებიები. ვოცი წლის არ იქნებოდა  
მაშენ. დროით თუ ნევიდოდა, მოგეცა სუნთქი; გამზა-  
დებულიც იყო, მარა დეიმტვრა: ველასიპეტით წამევიდა  
ბაგრატიდან კიბით იმისიგრძე თავდაღმართში, გორი-

---

<sup>1</sup> ოცდათხუთმეტ წელს

<sup>2</sup> მოჯანყე

დან კიბით უნდა დევეშვა ველასიპეტითო; ასე უნდა წამევიდო. პირველი ველასიპეტი ყავდა ქუთაისში. Протестантка<sup>1</sup>. დეილენა მაგ, დეიმტვრა. წელიწადი და ათი თვე დაჭირდა, სანამ ეენყო და სამ წელიწადს კიდო კოჭლობდა. კაი ხანს მაგის ფეხი უჩულქოთ არ უნახიათ, აღარც ველასიპეტზე დამჯდარს უნავარდია ის დროება ბრიჩებში. ამბობდენ, ნაკერები ატყვია და კაი კაზაკის გადაქნეულივით რუბეცი ქე ქონია. მაგ დამტვრევა იყო ТИШ ДЕВИТСОТ ВАСМОИ ГОД<sup>2</sup>.

ცოტა რო წამოდგა და ყავარჯნებით გეიარა, მერე ჩამევიდა მაგ რეტინგერი. მაშვინ იმნაირათ იყო, რომე თუ იქანა ვინმეს რამე დეეშავებია, აქანა გამორბოდა და აქანა ვისაც ქონდა ჩაოხრებული საქმე, იმგენი-სას იმალებოდა. რეტინგერი იყო კოკოშას ამხანაგი ტარტუდან, ბალშევიკი, პარტიული კლიჩკა – „შვედი“, მარა იყო ლატიში. ვორი მეტრო სიმაღლე უქუდოთ; იმსიმაღლე შუბლი, რა მირონი განვდებოდაო, დიმი-ტრო ამბობდა – მაგენის მოსამსახურე იყო; დიდხანს იცოცხლა.

ამნაირი, ბეჭებიანი. ავეუსტ სტრინდბერგობა იყო მაშვინ, სტრინდბერგის ნანერების კითხვა. მუსდას ხო წიგნი არ გოუგდია ხელიდან. ხოდა, იმ სტრინდბერგს მიამგვანა შუბლით და იმის ნანერებშიც გმირებს და გედირია. ამნაირი ჩრდილოელი კაცი იქამდე სად უნდა ენახა. გამონკეპილი იყო, პირს იბანდა სხვანაირათო, მოსამსახურეებსაც უთქვიათ, წვერი კი არ ქონდა

---

<sup>1</sup> მეპროტესტე

<sup>2</sup> ათას ცხრას რვა წელს



ხშირათ საპარსი, მარა უღვაში ამნაირი უზომო, ქერა, მოთავთავე მზეზე და კაციც ქერა და დანებდა მუსა, შოუყვარდა შეკვდომით. Громка лиушила<sup>1</sup>. იმსიმაღლეზე, რო სიმონიკამ, ან დაქორწინდება მაგ კაციო, ან ნევიდეს აქიდან და, ბოლოს და ბოლოს, დავაბამ მუსდას ჯაჭვებითო. მონამეთაში დავაკეტიებ არხიმანდრიტსო. ამას ვიზამ, გავგზავნი ლეჩხუმშიო, სოფელ წილამიერშიო. იქანა ყავდათ მოკეთები.

Панимаеш?<sup>2</sup> ქუთაისში რამე სალაპარაკო იყოს და ხმამაღლა უყვარს ძაანო. ხმები ესმის, ბოშო, ხალხს ღამე ტალავერიდანო, მაგენი რო სიყვარულობენ. რეტინგერი არ იყო ხმის კაცი და მუსდას ხმა წეილებდა. ისედაც ხმიანი იყო.

ახლა, ასე, მაგენი მღვდელს და ჯვრისწერას არ იკადრებდენ. მუგუზალით დეინვავდა თმას, რო გეხსენებია. ხოდა, რაცხანაირათ ჩეითვალენ ცოლ-ქმრათ. რეტინგერიც ქე იყო ბებზოჟნიკი, მარა კათოლიკი ყოფილა. მაინც ვერ დანერდენ ჯვარს. ასე ჩეითვალა. ქორწილიც და ცეკვა-თამაშიც მაგენისთვის იყო უარყოფითი. თან იმალება რეტინგერი. ამფერ გაბალშევიკდა მუსდაც და შევიდა არალეგალურ მდგომარეობაში. გამეისტუმრა სიმონიკამ თფილისში და ინახავდა იქანა.

რეტინგერი იყო ერთადერთი ქმარი. სხვა ქმარი მუსდას არ ყოლია. მერე მაგი დეიჭირენ, პირველი მსოფლიო ომის დროს, და გადაასახლენ. მუსდა მაშვინ მობრუნდა ქუთაისში. მერე, რო ჩამოაგდენ ნიკოლოზი და

---

<sup>1</sup> ხმამაღლა უყვარდა

<sup>2</sup> გესმის

ვიშლა ამნისტია<sup>1</sup> და ამბავი, მაგი გავარდა ციმბირიდან პეტრაგრადში, რო ბალშევიკებს მიეხმაროს ახალი მთავრობის წინააღმდეგ და დაკრა ფეხი იმ ომში და უბედურობაში მუსდამ და ჩააკითხა.

ქართველები სავსე იყო მაშვინ იქანა, რომელ პარტი-აში გინდა. კარლო ჩხეიძე იყო *перви председател савета рабочих, салдатских и матросских депутатов*<sup>2</sup>. კაკი წერეთელი, ამბავი. სტალინი ჩასული და *активнрское вастание*<sup>3</sup> იმარჯვებს და საქართველომ არ ცნო. საქართველო ცალკეა და მაგენმა ხო მაინც შემე-ვიდენ სამი წლის თავზე. შულავერის რევეკომი ვიცით ყველამ, განითლდა საქართველო. მუსდა წითელი დროშით გამოვარდა, წამოსული იყო თფილისში, შეე-გება ზეიმით ბალშევიკებს ვოზდახუთ თებერვალს. მერე მთავრობის გაქცეულ ჯარს ჩაასწრო ქუთაის-ში, იქანა რალაცა ბომბებიც მიიტანაო და რეტინგერი მოყვა ბალშევიკებს, მეთერთმეტე არმიას. კავბიუ-როში იყო. აბა, რას იზამდა და მაგან დეინყო. ჯერ ვითომ დიპლომატათ ყავდათ, ირანში დაარბენიებდენ რაცხა საქმეებზე და მერე სულ იყო ზაკავკავსკი ჩეკაში თანამდებობებზე. დიდი თანამდებობები ქონდა: ჩეკა, ოგუპეუ, ენკავედე. ჩინები რო გამოცვალეს ვოზდა-თუთხმეტ წელს, იყო *старши маиор*<sup>4</sup>. დიდი ჩინი იყო

---

<sup>1</sup> გამოვიდა ამნისტია

<sup>2</sup> მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატთა საბჭო-ების პირველი თავმჯდომარე

<sup>3</sup> ოქტომბრის აჯანყება

<sup>4</sup> უფროსი მაიორი

მაგ. ენკავედეს კაპიტანი უდრიდა ჯარის პალკოვნიკს და старши майор ამაზე ვორით მალლა იყო, значит<sup>1</sup> გამოდიოდა КОМДИВ<sup>2</sup>, რაც იქნება გენერალ-მაიორი ჯარის ენით ალბათ. მარა რა არი, ხო იცით ყველამ – არ უყვარდა ბერიას.

ბერია რო იყო ოგეპეუში, მაგას ეძახდა „მკვტარ თევზს“. ჩუმი კაცი იყო, ვერ გეიგებდი, რა უნდა და რას ფიქრობს, მარა ხალხი ყავდა განყვეტილი გულცივათ. მთელი ვოზდაოთხი წლები, რაც იყო ამბები, რეტინგერი არ გამოკლებია. მარა მაგ ითვლებოდა ტროცკისტათ, ლატიშები ასე ითვლებოდენ საერთოთ.

მაგას კი არ გამოუმჟღავნებია, რო რამე პლათფორმაზე იდგა – ჩეკისტათ იყო, მარა ამნაირი სახელი ქონდათ, მაგენი იყვნენ леваки<sup>3</sup>, მთელი ქვეყანა უნდოდათ ლაგერათ, შრომის ლაგერები და მსოფლიო რევალუცია. თან კიდო ახლა, საქართველო კი გაასაბჭოვეს ვოზდაერთ წელში ბალშევიკებმა, მარა ლატვია до саракавова года била независима<sup>4</sup> და вражески настроеное гасударство<sup>5</sup> და მაგენს, მაგ წითელ ლატიშებს ხო ყავს ნათესავები იმ თავის ქვეყანაში და ყოველთვის ნამოკრავ ფეხს, რო დაგჭირდება, რო, აბა, ბურჟუაზიის აგენტობა.

რო ატყდა წმენდა-ხვრეტა, ლევი ოპოზიცია-პრავი

---

<sup>1</sup> ესე იგი

<sup>2</sup> დივიზიის მეთაური

<sup>3</sup> მემარცხენეები

<sup>4</sup> ორმოც წლამდე დამოუკიდებელი იყო

<sup>5</sup> მტრულად განწყობილი სახელმწიფო

ოპოზიციას ოუყენა სტალინმა ბოლი, ამნაირი რამეც გამოსაყენებელი იყო.

ხოდა, ვოზდათუთხმეტი წელი იყო და ეილო ბერიამ მაგ შენი რეტინგერი და გეისროლა სამტრესტში. ლატიში – ღვინის და კანიაკის წარმოების უმფროსის მოადგილეთ. მაგ იყო ცუდი ნიშანი. მეისროდენ პოლიტიკიდან და მერე კი მოდიოდა წამყვანი. ბუდუ მდივანი აბრეშუმის ქის წარმოებაზე გეისროლენ. მერე ვითომ მოაბრუნენ სავნარკომის თავჯდომარის მოადგილეთ და მერე ქე დახვრიტენ.

რეტინგერს ყურძნის მტევანი მარტო ბაზარში ექნებოდა ნანახი, ისიც, თუ იქნებოდა ნამყოფი ბაზარში, მარა გეისროლა ასე.

მერე მაგან იცოდა ხმების დაყრა, ლოთიაო, მომსპარიო, კანიაკებს აზიდვიებს სახელმწიფო ხარჯით კაბინეტშიო. იყო ეგება, ლატიში იყო და მაგენმა იციან წაქცევამდი სმა. უნდა წეიქცეს, ისე არ ითვლება. ბურლი ქონდა, აღარ შეიძლებოდა მაგის ჩეკაში გაჩერებაო; ამხელა ჩინის კაცი მაგ ბურლით შევიდოდა და ყურს უღრუტნიდა პატიმარსო; ატრიალებდა თითონო, ამნაირი ხმა დადიოდა. რეტინგერი პალაჩია, სიამოვნებს თითონო.

მარა, უყურე, прашол трицат пиати год, прашол трицат шестои, трицат седмои<sup>1</sup> და არც მოუკითხია ვინმეს. ზის მაგ რეტინგერი თავის სამტრესტში და უყლუნუნებს კანიაკებს თლათ მუქთათ და გარშემო არი ბოლი

---

<sup>1</sup> გავიდა ოცდათხუთმეტი წელი, გავიდა ოცდათექვსმეტი, ოცდაჩვიდმეტი

ავარდნილი, ყველა დახვრეტილია და დაჭერილია უკვე, первый Масковски працес, второи Масковски працес<sup>1</sup>, ტროცკიზე დამიზნებულია უკვე და არაფელი, ბატონო. მაგ ნიშნავს, რომე გადარჩი. ბერიაც წასულია უკვე, გადაყვანილია მოსკოვში, საკავშირო ენკავედე, ეჟოვს დეიჭერენ და დადგება ნარკომათ ეჟოვშჩინასთან საბრძოლველათ. იქაა, მოშორებულია, თფილისში ვინც გადარჩა, იმის შეშინებას მოუცლელობით. ხოდა, მაგ დროს მოდიან სამტრესტში და მიყავთ რეტინგერი.

მაგ არი ოზდათვრამეტი წელი.

აქიდან დეინყო ყველაფერი. ახლა, მუსხას თანამდებობა დიდი არასდროს ქონია რამე, ხმაურით კი გაქონდა და იმ დროისთვის იყო განათლების სახალხო კამისარიატის მოსწავლე-ახალგაზდობის სპორტის ღონისძიებათა უმფროსი ორგანიზატორი, რაფერც ძველი ველასიპეტისტკა, თუ რაფერც, მარა მუსხა იყო და რომელი თანამდებობა უნდა ჭეროდა, მასზე დიდი ყოფილიყო? არ იყო თანამდებობის ქალი. გამავლობა ქონდა – გიჟი მუსხაო, მაგ განხრით, რაცხების გამოხლართვით და ინტრიგით კი არა. ამნაირი რო დეიბადება ადამიანი, ე, იმით.

უკვე იქნებოდა მაგ ორმოზდამვიდი, ორმოზდარვა წლის ქალი და სრულიათ გოგოთ მოძრავი, სხარტი, სხმარტალა. სპორცმენობას თავი არ დოუნებებია. ხოდა, რო არ მობრუნდა რეტინგერი სახლში, მეიკითხა მუსხამ. ძან შორს მეიკითხა, მალლა და მალლა, რასაც აწვდა на ешалонам власти<sup>2</sup> ტელეფონის ხაზებით.

---

<sup>1</sup> პირველი მოსკოვური პროცესი, მეორე მოსკოვური პროცესი

<sup>2</sup> ხელისუფლების ეშელონებში

ვერ უპოვეს. უმფრო არც იცოდენ და ვინც იცოდა, ალბათ თქმაც არ შეეძლო. бил челавек, нет челавека<sup>1</sup>. ვის გოუკვირდებოდა იმ დროში, მარა ამბავი ვერ გეიგო, მკვტარია, ცოცხალია, შინაურმა ვერაფელი გითხრას. მოაკითხენ უფორმოებმა და წეიყვანენო. კაბინეტი არ დოულუქავთ, ჩხრეკა არ ყოფილა. არც ქახალდი, არა-ფელი.

ასე გაგძელდა და на пяти ден<sup>2</sup> გამევიდა ხმა, რომეო რაფერც ნამსახური ჩეკისტიო, საიდუმლოთ გადაგზავნენ ესპანეთში, სამოქალაქო ომში ჩასაბმელათ, საცა ამხანაგებს დახმარება ჭირდება დაზვერვის გასაძლიერებლათ, რათგანაც ცნობილია იქოური ამბავი, რაზეც ლექსებიც იყო, რომეო:

„დღეს ესპანია რევალუციის  
სამშობლო ქვეყნათ ყველას ერგება,  
იქ ჩვენი მოძმე ჩვენს ხმასაც უცდის,  
ჩვენი გულისთვის ხმაღზე ეგება!“

ახლა, რეტინგერს დაზვერვაში არასდროს უმუშავია, ჩვიდმეტი წლის წინეთ ირანში გასვლა-გამოსვლას თუ არ მევიგონებთ; და თან რაფერი საიდუმლოა? მთელი სამტრესტის დასანახათ კაბინეტში ოთხი კაცი მევიდა და წეიყვანა. საიდუმლო საქმეზე ქურაში ეედევნებოდენ და თვალით ანიშნებდენ. ამიტო, გამევიდა მერე ხმა, რომეო ანდალუზია-ნავარა ნურას უკაცრავათო, მიიყვანენ ენკავედეში და ხორცის მაშინაში ჩაანყო-ბიენ თითები და, აბა, ლატიმ ფაშისტებთან შენ კავ-

---

<sup>1</sup> იყო ადამიანი, აღარაა ადამიანი

<sup>2</sup> მეხუთე დღეს